კომპეტენციები დემოკრატიული კულტურისათვის

ვიცხოვროთ ერთად, როგორც თანასწორებმა, კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში

ძირითადი დებულებები

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

კომპეტენციები დემოკრატიული კულტურისათვის

ვიცხოვროთ ერთად, როგორც თანასწორებმა, კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში

ძირითადი დებულებები

ევროპის საბჭოს

The opinions expressed in this work are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the official policy of the Council of Europe.

All requests concerning the reproduction or translation of all or part of the document should be addressed to the Directorate of Communication (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

Cover photo: © Shutterstock
Cover design: Documents and Publications Production Department (SPDP), Council of Europe

Layout: Documents and Publications Production Department (SPDP), Council of Europe

Council of Europe Publishing
F-67075 Strasbourg Cedex
http://book.coe.int

© Council of Europe, March 2016
Printed at the Council of Europe

ძირითადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს კომპეტენციების კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც უნდა შეითვისონ სწავლის მოსურნეებმა, თუ სურთ ქმედითი მონაწილეობა დემოკრატიის კულტურაში და მშვიდობიანი ცხოვრება, სხვა ადამიანებთან ერთად, კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ მოდელის გამოყენება გამიზნულია განათლების სფეროში გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირებისა და განათლების დაგეგმვისათვის - ეს დაეხმარება განათლების სისტემებს, აღიჭურვონ მსმენელთა, როგორც დემოკრატიულ მოქალაქეთა, მოსამზადებლად ცხოვრებისათვის.

დოკუმენტი იყოფა 7 ნაწილად.

1-ელ თავში აღწერილია კომპეტენციების მოდელის საგანმანათლებლო დანიშნულება. ამ თავში აგრეთვე განმარტებულია, თუ რატომ გამოიყენება სიტყვათშეთანხმება „დემოკრატიის კულტურა“ და არა ოდენ სიტყვა „დემოკრატია“: ამით ხაზი უნდა გაესვას ფაქტს, რომ რამდენადაც დემოკრატია ვერ იარსებებს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და კანონების გარეშე, ასევე ინსტიტუციები და კანონები ვერ იმუშავებს პრაქტიკულად, თუ არ დაეფუძნება დემოკრატიის კულტურას, რაც დემოკრატიულ ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და პრაქტიკულ საქმიანობას მოიცავს. აქვე განმარტებულია დემოკრატიის კულტურისა და კულტურათაშორისი დიალოგის ურთიერთდამოკიდებულება კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში: ამგვარ საზოგადოებებში კულტურათაშორის დიალოგს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ დისკუსიაში, დებატებსა და მოთათბირებაში ყველა მოქალაქის ჩასაბმელად.

მე-2 და მე-3 თავები აღწერს მოდელის რამდენიმე ძირითად საფუძველს. მაგალითად, მე-2 თავში გადმოცემულია შემდეგი დებულება: მართალია, მოქალაქეებს სჭირდებათ გარკვეულ კომპეტენციათა ფლობა დემოკრატიის კულტურაში აქტიური მონაწილეობისათვის, მაგრამ მხოლოდ ეს კომპეტენციები არ არის საკმარისი ამგვარი მონაწილეობისთვის, რადგან დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა ასევე მოითხოვს სათანადო ინსტიტუციური სტრუქტურების არსებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიის კულტურის დასამკვიდრებლად აუცილებელია როგორც კომპეტენციები, ასევე დემოკრატიული ინსტიტუციების არსებობა. გარდა ამისა, ყველა მოქალაქის დემოკრატიული ჩართულობა საზოგადოებაში საჭიროებს ზომების გატარებას სოციალური უსამართლობისა და სტრუქტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამგვარი ზომების გატარების გარეშე, არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფების წარმომადგენლები მარგინალიზებულნი იქნებიან დემოკრატიული პროცესებისაგან მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი დემოკრატიული კომპეტენციის დონე.

მე-3 თავი აღწერს „კულტურას“, როგორც კონცეფციას, რომელსაც დემოკრატიულ კომპეტენციათა მოდელი ითვალისწინებს. ნებისმიერი კულტურა თავისთავად მრავალფეროვანი, წინააღმდეგობრივი, დინამიკური და მუდმივად განვითარებადია. ყველა ხალხი ატარებს მრავალგვარ კულტურას, რომლებიც კომპლექსურად ურთიერთქმედებენ. ამ თავში ასევე განხილულია „კულტურათაშორისობის“ კონცეფცია. გამოთქმულია აზრი, რომ კულტურათაშორისი ვითარება თავს იჩენს მაშინ, როცა ინდივიდის აღქმით, მეორე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მისგან კულტურულად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, კულტურათაშორისი დიალოგი იწყება მაშინ, როცა ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები თავს კულტურულად განსხვავებულად აღიქვამენ. ასევე აღნიშნულია, რომ კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებებში კულტურათაშორისი დიალოგი ძალიან მნიშვნელოვანია შემწყნარებლობის გასაღვივებლად და სოციალური ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ამავე დროს, ზოგიერთ გარემოებათა არსებობისას, ამგვარი დიალოგი შესაძლოა განსაკუთრებით მძიმე და რთული აღმოჩნდეს.

მე-4 თავი განმარტავს „კომპეტენციას“, როგორც კონცეფციას, იმ მნიშვნელობით, რასაც მას მოდელი ანიჭებს. დემოკრატიული და კულტურათაშორისი კომპეტენცია განმარტებულია როგორც უნარი, შესაძლებლობა იმის, რომ მოახდინოს შესაბამისი ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარ-ჩვევებისა და/ან გაგების მომზადება და ამოქმედება, რათა სათანადო და ქმედითი პასუხი გაეცეს დემოკრატიული და კულტურათაშორისი გარემოს დასახულ მოთხოვნებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. კომპეტენციის შეძენა განიმარტება როგორც დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც კომპეტენტური პირი - აქტიურად და ადაპტირებულად - მობილიზებას უკეთებს და მოქმედებაში მოჰყავს ფსიქოლოგიური რესურსების მთელი წყება, რათა სათანადოდ შეხვდეს ახალ გარემოებებს მათი გამოჩენისთანავე.

ტერმინ „კომპეტენციის“ (მხოლობით რიცხვში) ამ გლობალური და ერთიანი მნიშვნელობით გამოყენების გარდა, მე-4 თავი ასევე აღწერს, თუ როგორ გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტში ტერმინი „კომპეტენციები“ (მრავლობით რიცხვში) კონკრეტული ინდივიდის პირადი რესურსების აღსანიშნავად (მაგ.: კონკრეტული ღირებულებები, დამოკიდებულებები, უნარ-ჩვევები, ცოდნა და გაგება), რომელთა მომზადება და პრაქტიკაში ამოქმედება ხდება კომპეტენტური ქცევის ჩამოყალიბებისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში კომპეტენცია მოიცავს გარკვეული კომპეტენციების შერჩევას, აქტივაციასა და ორგანიზებას და მათ კოორდინირებულ, მოქნილ და დინამიკურ გამოყენებას კონკრეტულ ვითარებაში.

მე-5 თავი აღწერს სამუშაო მეთოდს, რომლის გამოყენებითაც გამოვლინდა კონკრეტული კომპეტენციები წინამდებარე მოდელში ჩასართავად. ეს მოდელი იმით არის ღირშესანიშნავი, რომ ის შემთხვევით შედგენილი არაა. არამედ იგი დაეფუძნა დემოკრატიული და კულტურათაშორისი კომპეტენციების არსებულ კონცეპტუალურ სქემებს. შესაბამისი მეთოდური შესწავლის შედეგად გამოვლინდა 101 ამგვარი სქემა. ეს 101 სქემა ნაწილ-ნაწილ გაანალიზდა, შემადგენელ ინდივიდუალურ კომპეტენციათა გამოვლენის მიზნით. შემდეგ

გამოვლენილი კომპეტენციები დაჯგუფდა მსგავსების მიხედვით. შედეგად, მოდელში ჩასართავად გამოიყო 55 შესაძლო კომპეტენცია. კომპეტენციათა ამ გრძელი სიის შესაკვეცად და უფრო მართვადი და პრაქტიკული ნუსხის მისაღებად, გამოყენებულ იქნა პრინციპული კრიტერიუმები და პრაგმატული მოსაზრებები, რამაც გამოყო საკვანძო კომპეტენციები მოდელში ჩასართავად. აღნიშნულ კრიტერიუმთა და შესაბამისი ანალიზის გამოყენებით გამოვლინდა 20 კომპეტენცია: 3 ღირებულება, 6 დამოკიდებულება, 8 უნარ-ჩვევა, 3 ტიპის ცოდნა და კრიტიკული აზროვნება. ამ კომპეტენციათა მეშვეობით აიგო მოდელი. მოდელის აღსაწერად შედგა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო ექსპერტიზაზე დაეგზავნათ ექსპერტებს აკადემიური წრეებიდან, განათლების სპეციალისტებს და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს. კონსულტაციების პროცესში მიღებულმა პასუხებმა მნიშვნელოვნად გაამყარა მოდელი და დაგროვდა რიგი სასარგებლო შენიშვნებისა თუ კომენტარებისა. მათი გამოყენებით მოხდა მოდელის დეტალების სრულყოფა და წინამდებარე დოკუმენტის შექმნა.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის 20 კომპეტენცია



მე-6 თავში მოცემულია მოდელის სრული აღწერილობა, ჩამოთვლილი და აღწერილია ყველა კონკრეტული ღირებულება, დამოკიდებულება, ცოდნა და კრიტიკული გააზრება, რაც შესაძლებლობას აძლევს პირს, ქმედითი და სათანადო მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიის კულტურაში. მოდელი დიაგრამის სახით შეჯამებულია 1-ელ ცხრილში, ხოლო ოცივე კომპეტენციის

სრული ჩამონათვალი - თითოეული მათგანის მოკლე აღწერილობითურთ - წარმოდგენილია ქვემოთ.

მე-7 თავი აჯამებს დოკუმენტს და წინამდებარე მოდელთან მიმართებით ორ მოლოდინს აღნიშნავს: ეს მოდელი მართლაც სასარგებლო აღმოჩნდება განათლების პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, ასევე განათლების დაგეგმვისათვის და ეს მოდელი დაეხმარება ახალგაზრდა ადამიანებს თავიანთი - როგორც დამოუკიდებელი სოციალური ერთეულების - შესაძლებლობათა გაძლიერებაში, რათა მოახერხონ საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების არჩევა და მიღწევა იმ ჩარჩოებში, რასაც დემოკრატიული ინსტიტუციები და ადამიანის უფლებათა პატივისცემა განსაზღვრავს.

დანართი A – კომპეტენციათა 101 სქემის წყაროების ჩამონათვალი, რომელთა მეთოდური ანალიზიც პროექტის ფარგლებში განხორციელდა. დანართი B – 55 შესაძლო კომპეტენციის ჩამონათვალი, რომლებიც გამოვლინდა 101 სქემის გაანალიზების შედეგად. დანართი C - სხვა საკითხავი მასალა, A დანართში მოცემული წყაროების გარდა, რომელთა გაცნობაც შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს.

კომპეტენციათა შეჯამებული ჩამონათვალი, რომელთა დაუფლებაც შესაძლებლობას აძლევს პირს, ქმედითად და სათანადოდ მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიის კულტურაში

ღირებულებები

ადამიანური ღირსებისა და ადამიანის უფლებათა დაფასება

ეს ღირებულება ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ თითოეული ადამიანი თანასწორია, თანასწორი ღირსება აქვს, თანასწორ პატივისცემას იმსახურებს და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ერთნაირი ნაკრები ესადაგება - აქედან გამომდინარე, თითოეულ ადამიანს ამ პრინციპთა შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ.

კულტურული მრავალფეროვნების დაფასება

ეს ღირებულება ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ პოზიტიურად უნდა აღიქვამდნენ, აფასებდნენ და სათუთად ეპყრობოდნენ სხვა კულტურულ კუთვნილებას, კულტურულ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას.

დემოკრატიის, მართლმსაჯულების, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება

ღირებულებათა ეს ნაკრები ეფუძნება ზოგად რწმენას, რომ საზოგადოება უნდა მოქმედებდეს და იმართებოდეს დემოკრატიული პროცესების გზით, მართლმსაჯულების, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემით.

დამოკიდებულებები

გახსნილობა კულტურული სხვადასხვაობის, სხვა რწმენების, მსოფლმხედველობისა და ჩვეულებების მიმართ

გახსნილობა ეს არის დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა კულტურის წარმომადგენლებად აღიქმებიან, ან განსხვავებული რწმენის, შეხედულებებისა და ჩვეულებების მიმართ. ეს გულისხმობს ასევე მგრძნობიარობას, ცნობისმოყვარეობასა და სურვილს სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის მიმართ და დაინტერესებას მსოფლიოს სხვა პერსპექტივებით.

პატივისცემა

პატივისცემა მოიცავს დადებით დამოკიდებულებასა და მოწიწებას ვინმეს ან რაიმეს მიმართ იმ დასკვნის საფუძველზე, რომ მას აქვს ჭეშმარიტი ფასეულობა, ღირსება და ღირებულება. ქმედითი კულტურათაშორისი დიალოგისა და დემოკრატიის კულტურისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პატივისცემას სხვა ადამიანების მიმართ, რომლებსაც განსხვავებული კულტურული კუთვნილება ან განსხვავებული რწმენა, შეხედულებები და ჩვეულებები აქვს.

მოქალაქეობრივი თვითშეგნება

მოქალაქობრივი თვითშეგნება არის დამოკიდებულება საზოგადოების ან სოციალური ჯგუფების მიმართ, რომელსაც ესა თუ ის პირი ეკუთვნის და რომელიც მისი ოჯახის წევრებისა და მეგობრების უშუალო წრეზე უფრო ფართოა. იგი მოიცავს საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდას, ამ საზოგადოების სხვა წევრების შესახებ ინფორმაციის ფლობას, ამა თუ იმ მოქმედების გავლენას მისი საზოგადოების წევრებზე, სოლიდარობას მათ მიმართ და საზოგადოების მიმართ სამოქალაქო ვალდებულების შეგრძნებას.

პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა არის დამოკიდებულება საკუთარი მოქმედების მიმართ. იგი გულისხმობს საკუთარი ქმედების გააზრებას, წინასწარ დაფიქრებას, როგორ იმოქმედოს, რომ მორალურად გამართლებული იყოს, ამ მოქმედებათა თანმიმდევრულად განხორციელებას და ანგარიშვალდებულებას საკუთარი ქმედებების შედეგებზე.

თავდაჯერება

თავდაჯერება არის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. იგი გულისხმობს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, რომ პირს ძალუძს საჭირო მოქმედებათა განხორციელება კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ასევე იმის დაჯერებას, რომ პირს შეუძლია საკითხის გააზრება, შესაბამისი მეთოდების შერჩევა ამოცანათა განსახორციელებლად, წინააღმდეგობათა წარმატებით გადალახვა და რაიმეს შეცვლა მსოფლიოში.

გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა

გაურკვევლობისადმი ტოლერანტობა არის დამოკიდებულება გაურკვეველი სიტუაციების მიმართ, როცა ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არსებობს. იგი გულისხმობს ამგვარ სიტუაციათა დადებითად შეფასებას და მათ კონსტრუქციულად გამკლავებას.

უნარ-ჩვევები

დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევა

ამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევა არის საკუთარი სწავლის საჭიროებათა შესაბამისად, სწავლის პროცესის თანმიმდევრული მიდევნების, ორგანიზებისა და შეფასების უნარი, თანაც მიზანმიმართულად, სხვისი დაძალების გარეშე.

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევა

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევა არის ნებისმიერი სახის მასალის (მაგ.: ტექსტის, არგუმენტაციის, განმარტებების, საკითხების, მოვლენების, გამოცდილების და სხვ.) სისტემურად და ლოგიკურად გაანალიზების, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარი.

მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევა

მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევა არის ნათქვამის შემჩნევისა და გაგების უნარი - რა ითქვა და როგორ ითქვა, აგრეთვე ადამიანთა არავერბალური ქცევის შემჩნევისა და გაგების შესაძლებლობა.

ემპათია

ემპათია არის უნარ-ჩვევა, რომელიც საჭიროა სხვა ადამიანთა ფიქრების, რწმენისა და გრძნობების გასაგებად თუ გასაზიარებლად, სამყაროს დასანახად სხვა ადამიანის პერსპექტივიდან.

მოქნილობა და ადაპტაცია

მოქნილობა და ადაპტაცია არის უნარ-ჩვევა, საკუთარი ფიქრების, გრძნობებისა თუ ქცევის რეგულირებისა და მოწესრიგებისათვის, რათა ადამიანი ქმედითად და სათანადოდ შეეწყოს ახალ კონტექსტსა და გარემოებებს.

ლინგვისტური შესაძლებლობები, კომუნიკაციისა და სხვადასხვა ენაზე ურთიერთობის უნარ-ჩვევა

ლინგვისტური შესაძლებლობები, კომუნიკაციისა და სხვადასხვა ენაზე ურთიერთობის უნარ-ჩვევა საჭიროა იმ ადამიანებთან ქმედითი და სათანადო

კომუნიკაციისათვის, ვინც იმავე ან სხვა ენაზე ლაპარაკობს, ასევე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს შორის მედიატორობისთვის.

თანამშრომლობის უნარ-ჩვევა

თანამშრომლობის უნარ-ჩვევა საჭიროა საერთო აქტივობებში, საქმიანობებსა და ახალ წამოწყებებში სხვა ადამიანებთან ერთად წარმატებული მონაწილეობისთვის, ასევე სხვათა წასახალისებლად თანამშრომლობისაკენ, საერთო მიზნების გუნდურად მისაღწევად.

კონფლიქტის გადაწყვეტის უნარ-ჩვევა

კონფლიქტის გადაწყვეტის უნარ-ჩვევა საჭიროა დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტზე რეაგირებისათვის, მისი მართვისა და გადაწყვეტისთვის მშვიდობიანი გზით, ოპტიმალური გამოსავლის გამოძებნით, რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის.

ცოდნა და კრიტიკული აზროვნება

საკუთარი თავის შემეცნება და კრიტიკული გააზრება

ეს მოიცავს პირის ფიქრების, რწმენის, გრძნობებისა და მოტივაციის, ასევე კულტურული კუთვნილებისა და სამყაროში მისი პერსპექტივის შემეცნებას და კრიტიკულ გააზრებას.

ენისა და ურთიერთობების ცოდნა და კრიტიკული გააზრება

ეს გულისხმობს სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, იმის გაგებას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ადამიანებზე კომუნიკაციის სხვადასხვა სტილმა და როგორ გამოხატავს სხვადასხვა ენა კულტურულად საერთო ღირებულებებს.

მსოფლიოს შეცნობა და კრიტიკული გააზრება

ეს გულისხმობს სრულიად განსხვავებულ სფეროთა ფართო და კომპლექსურ ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, რომელთა შორისაა პოლიტიკა, სამართალი, ადამიანის უფლებები, კულტურა, კულტურები, რელიგიები, ისტორია, მედია, ეკონომიკა, გარემო და მდგრადობა.

ევროპაში თანამედროვე საზოგადოებები ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან, როგორიცაა არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის შემცირება, პოლიტიკოსთა მიმართ მზარდი უნდობლობა, სიძულვილის დანაშაულის მაღალი დონე, შეუწყნარებლობა და სტერეოტიპები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური ჯგუფების მიმართ და ძალადობრივი ექსტრემიზმის მომეტებული მხარდაჭერა. ეს გამოწვევები საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუციების ლეგიტიმურობას და მშვიდობიან თანაცხოვრებას ევროპაში.

ფორმალური განათლება არსებითად მნიშვნელოვანი იარაღია ამ გამოწვევებთან შესაჭიდებლად. სათანადო ძალისხმევამ განათლების სფეროში შეიძლება გააძლიეროს დემოკრატიული ჩართულობა, შეამციროს შეუწყნარებლობა და სტერეოტიპები, შეასუსტოს ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ამ მიზნების მისაღწევად განათლების სფეროს სპეციალისტებს სჭირდებათ დემოკრატიული კომპეტენციების ცხადი გააზრება, რომლებიც საგანმანათლებლო კურიკულუმებმა უნდა ასახონ.

ევროპის საბჭომ შეიმუშავა კომპეტენციების ახალი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც მოქალაქეებისაგან მოითხოვს დემოკრატიულ კულტურაში მონაწილეობას და მშვიდობიან თანაცხოვრებას სხვებთან ერთად კულტურულად მრავალფეროვან გარემოში. მოდელი ორ წელზე მეტი ხნის ინტენსიური შრომის პროდუქტია და დადასტურებულია განათლების სფეროს წამყვანი ექსპერტების მიერ საერთაშორისო კონსულტაციების გზით. იგი გვაწვდის მყარ კონცეპტუალურ საფუძველს კურიკულუმების, პედაგოგიკის, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სფეროში განათლების შემდგომი განვითარებისათვის. მისი გამოყენება შესაძლებლობას მისცემს განათლების სისტემებს, ეფექტურად აღიჭურვონ მოსწავლეებისა და სტუდენტების - როგორც აქტიური და შემწყნარებელი დემოკრატიული მოქალაქეების - ცხოვრებისათვის მოსამზადებლად.

ამ ლიფლეტში მოცემულია „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების“ ძირითადი დებულებები სწრაფად და მარტივად გასაცნობად. სრული ტექსტი გამოცემულია ევროპის საბჭოს მიერ l'ISBN 978-92-871-8249-4.

www.coe.int/education

PREMS 202216

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE